„კრეოლობის ქება“ - კრეოლური ენისა და ლიტერატურის როლი კრეოლი საზოგადოების იდენტობის ძიებაში მარტინიკის მაგალითზე

მარიამ ღლონტი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ფილოლოგიის მაგისტრის აკადემიური
ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

მიმართულება: რომანული ფილოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მარიეტა ჩიხლაძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2024

განაცხადი

ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მაგისტრანტი

2024

მადლობა

მსურს მადლობა ვუთხრა ჩემს ლექტორებს, რომლებმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ჩემს პროფესიულ და პერსონალურ განვითარებაში. მუდამ მადლიერი ვიქნები ქალბატონი მზაღო დოხტურიშვილის, რომელმაც მომცა წინსვლის არაერთი შესაძლებლობა და მაზიარა ფრანგული ენის, ლიტერატურისა და კულტურის გამორჩეულ სამყაროს. გამორჩეული მადლობა ქალბატონ ბელა წიფურიას, რომლის ლექციებზეც გავეცანი მნიშვნელოვან პოსტკოლონიურ თეორეტიკოსებს და მივიღე ის ცოდნა, რომლის გარეშეც მოცემული ნაშრომი ვერ დაიწერებოდა.

და ბოლოს, განსაკუთრებულ მადლობას ვუხდი ჩემს ხელმძღვანელს, ქალბატონ მარიეტა ჩიხლაძეს, მისი გამორჩეული ლექციებისთვის, გაზიარებული ცოდნისთვის და ნაშრომის წერის პროცესში გაწეული პროფესიული და მორალური მხარდაჭერისთვის, რჩევებისთვის, ყურადღებისა და თანადგომისთვის.

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომში განხილულია ჟან ბერნაბეს, პატრიკ შამუაზოსა და რაფაელ კონფიანტის მანიფესტში „კრეოლობის ქება“აღწერილი კონცეფციები კრეოლური ენისა და ლიტერატურის შესახებ და მათი გამოძახილი ლიტერატურაში პატრიკ შამუაზოს ნაწარმოების „ტექსაკოს“ მაგალითზე.

ნაშრომის მიზანია იკვლიოს მანიფესტში გამოთქმული თეორიები კრეოლური ენის, მისი საშუალებით შექმნილი ახალი ლიტერატურისა და მათი როლის შესახებ, რომელიც ემსახურება კრეოლი საზოგადოების იდენტობის ჩამოყალიბებას. ნაშრომისთვის მნიშვნელოვანია იპოვოს ამ კონცეფციების შესაბამისობა სხვა პოსტკოლონიურ თეორიებთან და კონკრეტულ ლიტერატურულ ნაწარმოებთან.

ტექსტების შესწავლის შედეგად დგინდება, რომ კრეოლური ენა და ლიტერატურა წარმოადგენს მოცემული საზოგადოების მრავალფეროვანი კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებისა და გამოხატვის საშუალებას, კოლონიზაციისა და მისი გავლენის წინააღმდეგ ბრძოლის იარაღს და ავთენტური გამოცდილების ასახვის შესაძლებლობას.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ენა, ლიტერატურა, კრეოლი, კრეოლობა, კრეოლიზაცია, კრეოლობის ქება, ტექსაკო, შამუაზო.

Abstract

This paper discusses the concepts of Creole language and literature described in the manifesto "In praise of Creoleness" by Jean Bernabé, Patrick Chamoiseau, and Raphaël Confiante and their influence on the literature on the example of Patrick Chamoiseau's work "Texaco".

The paper aims to investigate the theories expressed in the manifesto about the Creole language, the new literature created through it, and their role in shaping the identity of the Creole community. The paper wants to find the relevance of these concepts to other postcolonial theories and specific literary work.

As a result of the study of the texts, it is established that the Creole language and literature are a means of preserving and expressing the diverse cultural heritage of the given society, a tool to fight against colonization and its influence, and an opportunity of depicting authentic experiences.

Keywords: Language, literature, creole, creoleness, creolization, In praise of creoleness, Texaco, Chamoiseau.